

ეგა დადიანი, მაია მიქაუტაძე

**თურქული ფონონიმები ტაოში
(ხევაი, ქვაბაი, ბალხი)**

მოკლე შინაარსი

წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია თურქეთში, კერძოდ, იუსუფელის რაიონის ქართულენოვან სოფლებში არსებული ენობრივი ვითარება ჩვენ მიერ ჩაწერილი ტოპონიმიკური მასალის მიხედვით; წარმოჩენილია საანალიზო სოფლების გეოგრაფიულ ნომენკლატურაში თურქული ენის გავლენა.

პარხლისტყვლის ხეობის ქართული სოფლების (ხევაი, ქვაბაი, ბალხი) მიკროტოპონიმია ძირითადად ქართულია, თუმცა გვხვდება თურქული სახელწოდებებიც, რაც ტაოში არსებული ბილინგვიზმის, ქართული და თურქული ენების ინტერფერენციის შედეგია. ქართული ტოპონიმია ნელ-ნელა იცვლება, იკარგება, მას თურქული სახელები ენაცვლება. პროცესი შეუქცევადია და საფრთხეს უქმნის ქართული ენის მომავალს აღნიშნულ რეგიონში. ამდენად, ტაოს სოფლებში არსებული მიკროტოპონიმების ჩაწერა-ფიქსაცია მეტად მნიშვნელოვანი და საშური საქმეა.

საკვანძო სიტყვები: ტაო, თურქული ენა, ტოპონიმია, ბილინგვიზმი, ინტერფერენცია.

Eka Dadiani, Maia Mikautadze

**TURKISH TOPOONYMS IN TAO
(Khevai, Kvabai, Balkhi)**

Abstract

In this article there is the analyses linguistic aspects of Iusefali region Georgian spoken villages ethnic groups in Turkey according the toponym materials collected by us. There is given the influence of Turkish language on the geographic area of given villages inhabitance.

In the Parkhlistkali valley villages (Khevai, Kvabai, Balkhi)micro toponym almost Georgian, but there are some cases from Turkish names, which is the result of influence of two different languages, bilinguals in

Tao, Georgian and Turkish. Georgian toponyms changes smoothly, loses time to time, some Turkish names replace them. The process can be changed, stopped and it has the risk for the future of Georgian language in the abovementioned region. To collect the materials, micro toponyms in these regions has essential meaning.

Key Words: Tao, Turkish language, Toponyms, Bilinguals, influence

შესავალი. საქართველოს ერთ-ერთი უძველესი კუთხე - ტაო დღეს თურქეთის სახელმწიფოს ნაწილს წარმოადგენს; მოიცავს ართვინის ვილაიეთის იუსუფელის, ოლთისის, თორთომისა და უზუნდერეს რაიონებს. ქართული მეტყველება კარგად არის დაცული პარხლისწყლის ხეობაში, სადაც მდებარეობს სოფლები: ხევაი, ქაბაი და ბალხი. დანარჩენ სოფლებში ქართული ენა თურქულთან ასიმილირების შედეგად ან დაიკარგა, ან კიდევ დაკარგვის პირასაა.

საქართველო-თურქეთის მრავალსაუნივანმა და ინტენსიურმა ურთიერთობამ ხელი შეუწყო ქართველი და თურქი ხალხის ლინგვოკულტურულ ინტეგრაციას და, შესაბამისად, ქართული და თურქული ენების ინტერფერენციის გაძლიერებას. ენათა ურთიერთგავლენის ზოგადი ტენდენციების წარმოჩენის თვალსაზრისით საინტერესოა იუსუფელის რაიონის ქართულენოვან სოფლებში არსებული ენობრივი სიტუაცია. ზოგადად, გეოგრაფიულ ადგილთა სახელწოდებები საუკუნეების განმავლობაში ნაკლებად იცვლება, ისეთ ვთარებაშიც კი, როცა ავტოქთონი მოსახლეობა სხვა ენობრივ-სახელმწიფოებრივ გარემოში, ბილინგვიზმის პირობებში აღმოჩნდება. ამ შემთხვევაში მიკროტოპონიმია მნიშვნელოვანი წყაროა; ის ინახავს ერის ისტორიულ მეხსიერებას, ასახავს ენობრივ თავისებურებებს...

საკვლევ სოფლებში კომპაქტურად ცხოვრობენ ეთნიკური ქართველები. აღნიშნული სოფლების გეოგრაფიული ნომენკლატურა ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად არის ასახული თურქული ელემენტები მიკროტოპონიმიაში, როგორია თურქული ან შერქული ტიპის (თურქულ-ქართული//ქართულ-თურქული) მიკროტოპონიმების სტრუქტურა.

ჩვენ 2011-2019 წლებში უშუალოდ ადგილზე შევისწავლეთ ენობრივი სიტუაცია.¹ კვლევისას გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდები: ა) ველზე მუშაობის მეთოდი (ტოპონიმების ზუსტი ფიზიკურ-გეოგრაფიული აღწერილობა); ბ) აღწერითი მეთოდი (ტოპონიმების ზუსტი ფიზიკურ-გეოგრაფიული აღწერილობა); გ) ანალიზის მეთოდი (ტოპონიმების წარმომავლობისა და ფორმობრივ-სემანტიკური ცვლილებების ახსნა)... სტატიაში განვიხილავთ თურქულ ენასთან კონტაქტის შედეგად გაჩენილ ტოპონიმებს, რომლებიც სუპერსტრატეგი ხასიათისაა. ამგარ ტოპონიმთა ნაწილი მთლიანად თურქულია, ნაწილი კი ქართული და თურქული (//არაბული) სიტყვების კომბინაციით არის მიღებული. ორივე სახის მასალა მნიშვნელოვანია იქ არსებული ენობრივი ვითარების წარმოსახენად.

ტაოში ზოგადი სურათი ასეთია: ყველა ისტორიულ ქართულ სოფელს ამჟამად ოფიციალურად თურქული სახელი ჰქვია. მიუხედავად ამისა, სოფლების ძველი, ქართული სახელები დაქმდე ცოცხალია; მათ ატიურად იყენებს ადგილობრივი მოსახლეობა (როგორც ქართველები, ისე თურქები). თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ძველი ტოპონიმია ნელ-ნელა (უმთავრესად ახალგაზრდების მეტყველებაში) დავიწყებას ეძლევა და მათ თურქული სახელები ენაცვლება.

რაც შეეხება მიკროტოპონიმიას (მოების, ტყების, ყანაჭალების, დელების სახელებს), აქ განსხვავებული ვითარებაა. შეიძლება ითქვას, რომ საკვლევი რეგიონის მიკროტოპონიმთა დიდი ნაწილი ძველია, ქართულია და თითქმის უცვლელი სახითაა დაცული. ჩვენ მიერ ტაოს ქართულ სოფლებში აღნუსხულ მასალაში ქართული ტოპონიმების ხვედრითი წილი უცხოურთან შედარებით გაცილებით დიდია.

იუსუფელის რაიონის **60** სოფლიდან დღეს მხოლოდ **3** სოფელია ქართულენოვანი: **ხევაი**, **ქვაბაი** და **ბალხი**. სამივე თემის ტიპის დასახლებაა: შედგება უბნებისაგან, მაჰალეები-საგან (თურქ. Mahalle „უბანი”), რომლებიც ისტორიულად ცალკე სოფლებს წარმოადგენდა (დადიანი, მიქაუტაძე, 2013; დადიანი 2014; დადიანი, 2015).

¹ ტაოს სოფლებში ჩაწერილი მასალა ინახება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში.

ქევაი (თურქ. Bıçakçılar) ყველაზე მრავალრიცხოვანია (ამჟამად 230-მდე კომლი ცხოვრობს). შდრ. 1997 წლის მონაცემებით, ქევაიში 648 ადამიანი ცხოვრობდა (ართვინი, 2000).

ქვაბაიში (თურქ. yüksekoba) დღეს 35-მდე კომლი ცხოვრობს. შდრ. 1997 წლის მონაცემებით, 240 ადამიანი ცხოვრობდა (იქვე).

ბალხში (თურქ. Balçılı) 2012 წლის მონაცემებით ცხოვრობს 65 კომლი, 126 კაცი (<http://www.yusufeli.gov.tr/>). შდრ. 1997 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით, ცხოვრობდა 176 ადამიანი (ართვინი, 2000).

წარმოვადგენო თურქული და შერქული (ქართულ-თურქული) ტიპის ტოპონიმების ცალკეული სოფლების მიხედვით:

I. თურქული ტოპონიმები სტრუქტურული თვალსაზრისით უმთავრესად ორქომპონენტიანია (მსაზღვრელ-საზღვრული ან კომპოზიტი). გვხვდება **თურქული სუფიქსით** ნაწარმოები ტოპონიმებიც. **მარტივი** ტოპონიმები იშვიათია.

ა) სოფ. ქევაი:

გუნეგმაალე (<თურქ. güney „სამხრეთი“ + არაბ. mahalle „უბანი“). შდრ. **გვუნეგმაალე** (ფალავა..., 2005: 156).

გურუგოლი (<თურქ. Kuru „მშრალი“ + göl „ტბა“).

კარატაში//ყარატაში- მთა (<თურქ. kara,,შავი“+Taş,,ქვა“).

ოქუზბოლანი - ტოპონიმი თურქული წარმომავლობისა ჩანს: თურქ. okuz „ხარი“. გადმოცემით, „იმ ადგილას ახლაც არის გუბე, ტბა. იქ ხარები დამზადა და იმისთუნ დუურქმევნებიან“.

დუზეგმაალე (<თურქ. kuzey „ჩრდილოეთი“ + არაბ. mahalle „უბანი“). შდრ. **გვუზეგმაალე** (ფალავა..., 2005: 156).

ყავახლული - ტყე (<თურქ. kavak „ალვის ხე“ + -lik სუფიქსი).

ყარაგოლი - ტბა (<თურქ. kara „შავი“ + göl „ტბა“).

ყარათაღი - მთა, ტყე (<თურქ. Kara „შავი“ + dağ „მთა“).

ჩათაღი - მთა (<თურქ. çatak „უნაგირი“). შდრ. გეოგრ. უნაგირა - ორად ამოწვერილი მთა, ქედი, რომელიც უნაგირს მოგაგონებს (ქეგლ).

ბ) სოფ. ქვაბაი:

ანი მაალე/ანიან მეელე - ქვაბაის უბანი. შდრ. **აინიანი** (ფუტკარაძე, 1993: 176). ადგილობრივთა გადმოცემით, „აანაად იყო, იმის ავთენაეტერად ალაგიო, პეტერადო, იმპარზეავნიან მეელე უთქვამან“. თურქ. ayna „სარკე“.

გორჯიგოლი - ტბა. შდრ. გორჯიგოლი (ფუტკარაძე, 1993: 178); **გურჯიგოლი** - ტბა (ფაღავა... 2005: 168). ხალხური ეტიმოლოგით, ადნიშნავს „ქართველების ტბას“: ოურქ. Gürcü „ქართველი“ + გილ „ტბა“.

ჩეფერდიფ - ადგილის სახელი ჭილათში (ფუტკარაძე, 1993: 178); ოურქ. çeper „პედელი, ტიხარი, ჯებირი“, dip „ცხვერი, ძირი“.

ჰაჯიმეზერი (< ოურქ. hacı „მექაში სალოცავად ნამყოფი მუსლიმანი“ + არაბ. mezār „საფლავი“).

გ) სოფ. ბალხი

ქართულ-თურქული სამეტყველო კოდების შერევის ნათელ ნიმუშს წარმოადგენს თურქული **-ლარ** (-lar „ებ“) -სახელის მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი) ფორმანტით გაფორმებული ტოპონიმები: აბაზა-ლარ-ი, პაპაშ-ლარ-ი, ფეფზა-ლარ-ი (ადგილთა სახელდება დაკავშირებულია გვარებთან). აქვე პარალელურად დასტურდება ქართული **-ნ/-ებ** მრავლობითი რიცხვის აფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმებიც: აბაზიან-ნი/აბაზან-ნი, პაპაშ-ებ-ი, ფეფზ-ებ-ი/ფეფზიან-ნი-ი.

II. შერეული ტოპონიმები უმთავრესად კომპოზიტური წარმომავლობისაა, რომლის ერთი კომპონენტი თურქულია, მეორე - ქართული. ამ ტიპის ტოპონიმები შეიძლება ორ ქვეჯგუფად დაყვოთ:

1. **ქართულ-თურქული ტოპონიმები**, რომლის პირველი კომპონენტი ქართულია, მეორე - თურქული. მაგალითად:

ა) სოფ. ხევაი:

ქომო მეელე - უბანი. არაბ. mahalle „უბანი“.

ხევებ გოლი- ხევაის ტბა. ოურქ. göl „ტბა“.

ბ) სოფ. ქვაბაი:

ბასლიანდუზი - საზაფხულო საძოვარი. ტოპონიმი გვხვდება შ. ფუტკარაძესთანაც (1993: 177). ოურქ. düz „გაბუ, სწორი ადგილი“.

გაღმამი მაალე / გაღმი მაალე/ გაღმამქაბამ - ქვაბაის-უბანი. შდრ. გაღმამი (ფუტკარაძე, 1993: 177).

გომოღმამქაბამ / გომოღმამ მაალე - ქვაბაის უბანი.

დიდ იათალი - მთა. ოურქ. yatak „საწოლი“.

დიღჩალილი - ადგილის სახელი. ოურქ. çakıl „დორი, ხრეში“.

ზემო მაალე - უბანი. არაბ. mahalle „უბანი“.

პარხალი სირთი / პარხლენთ სირთი. ადგილობრივთა გადმოცემით: „პარხლენთი აქ დამჯდარან, იმბააზე პარხალი სირთი უქნიან. მალებ მეიყვანდეს და აძოებდეს. ახლა აღარ არიან, არ მოდიან“. თურქ. *Sirti*, „ზურგი, უკანა მხარე“.

გ) სოფ. ბალხი:

დიდ მადლა - საძოვარი. თურქ. yayla „საზაფხულო საძოვარი“.

ჟეგზიან ორმანი - „ვეგზიანების ტყე“.

ფარამანლებ ორმანი - „ფარამანლების ტყე“.

2. თურქულ-ქართული ტოპონიმები (პირველი ნაწილი თურქულია, მეორე კი -ქართული):

ა) სოფ. ხევაი:

ყიშლიწვერი - მთა, ტყე. თურქ. kislak „საზამთრო საძოვარი“.

ჩუხურები - ტყე. თურქçukur „ორმო, ოდრო-ჩოდრო“).

ჯამეგანა - სალოცავთან ახლოს მდებარე ყანა. არაბ. cami „სალოცავი“.

ჯამიანწინი - სალოცავის წინ მდებარე ტერიტორია.

ბ) სოფ. ქვაბაი:

ეჭენდი წყარო. თურქ. efendi „ბატონი“.

დასაღი ტყე - ტყე, საღაც ხის მოჭრა აკრძალულია. თურქ. yasak „აკრძალვა“.

სიკლიატყე - ტყის სახელწოდება. თურქ. siklik „სიხშირე“.

ჯამიანწინე - სალოცავის წინ მდებარე ტერიტორია.

გ) სოფ. ბალხი:

ჯამეგარი - „ჯამეს მიმდებარე ადგილი“. არაბ. cami „სალოცავი“.

ჯამიანკილდე. რესპონძენტთა გადმოცემით: „დიდი კილდე ყოფილა, ჯამიანკილდე დუურქმენებიან იქა“; „ქი გაწვიმდება, მზე მაადგება, ემეიქამს, სანთელსავთენ გომოჩდება“.

დასკნის სახით შეიძლება ითქვას: პარხლისწყლის ხეობის ქართულ სოფლებში ქართულ ტოპონიმთა გვერდით უცხოური (ძირითადად თურქული) ან შერქული (ქართულ-თურქული, თურქულ-ქართული) ტიპის სახელწოდებები იქ არსებული ბილინგვიზმის შედეგია. უცხოენოვან მიკროტოპონიმთა რაოდენობა ქართულენოვან მასალასთან შედარებით მცირეა. თუმცა ტაოში, ისევე როგორც სხვა ქართულ კუთხებში (იმერხევი, ლივანა, ჭა-

ნეთი...) დარჩენილ ქართულ ტოპონიმიას, დროთა განმავლობაში გაქრობის საშიშროება ემუქრება. გაანალიზებულ სოფლებში რეალური სურათი ასეთია: მიკროტოპონიმები სრულყოფილად ძირითადად უფროსმა თაობამ იცის, საშუალო ასაკის ადამიანებმა – ნაწილობრივ, ახალგაზრდებმა კი თავიანთი სოფლის ადგილების სახელწოდებანი ნაკლებად იციან. პროცესი, სამწუხაროდ, შეუძლებელია და საფრთხეს უქმნის ქართული ენის მომავალს საკვლევ რეგიონში. ამდენად, ის მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესსა და კურადღებას იმსახურებს.

დამოწმებული ლიტერატურა:

ართვინლი 2000 - ართვინლი თ., იუსუფელის ქართული სოფლები: უკრნალი „ჩვენებური“ №38, ოქტომბერი-დეკემბერი, 2000. <http://www.chveneburi.net/default.asp?bpgpid=900&pg=1> (დამოწმებულია: 12.08.2019).

ბარამიძე, 2001 - ბარამიძე მ., ტაოს ქართული ტოპონიმიკა: XXI რესუბლიისური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2001.

გუჯეჯიანი..., 2009 - გუჯეჯიანი რ., ფუტკარაძე ტ., იუსუფელის (ისტორიული ტაოს) ქართულენოვან სოფელთა ეთნოლინგვისტური მიმოხილვა - I (ხევაი - Biçakçılar): უკრნ. ქართველური მემკვიდრეობა, ტ. XIII, ქუთაისი, 2009.

დადიანი..., 2013 - დადიანი ე., მიქაელაძე მ., სოფელ ხევაის (ტაო) მიკროტოპონიმია: ონომასტიკური კრებული, ახალციხე, 2013.

დადიანი, 2014 - დადიანი ე., სოფელ ქვაბაის (თურქ. იუქსექმბა) ტოპონიმია: ონომასტიკური კრებული, ახალციხე, 2014.

დადიანი 2015 - დადიანი ე., სოფელ ბალხის (ტაო) მიკროტოპონიმია: ონომასტიკური კრებული, ახალციხე, 2015.

თურქულ-ქართული ლექსიკონი, 2011 - თურქულ-ქართული ლექსიკონი, ლ. ჩლაიძის რედაქციით, სტამბოლი, 2011.

ფადაგა..., 2005 - ფადაგა მ., ცინცაძე მ., მაკარაძე ე., დიასამიძე რ., თანდილავა ლ., ტაოური მეტყველების ნიმუშები: ბათუმის უნივერსიტეტის კრებული, IV, ბათუმი, 2005.

ფუტკარაძე 1993 - ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

ტაოური დიალექტური ტექსტები (დაცულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში). <http://www.yusufeli.gov.tr> (დამოწმებულია: 12.08.2019).